ხელშეკრულება № 33

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი "20" აპრილი 2011წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი საფინანსო-ანალიტიკური სამსახური (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №16, ტელ: 26-13-34, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900 სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სკ-204862078), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი სამსახურის უფროსის მოადგილის **გიორგი ბაბაკიშვილის** სახით და **შპს „ქარ რენთ ენდ თრეიდ-ინ ქომფანი"** (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-20 კმ, ტელეფონი: 14-01-01, 871-13-08-08, საბანკო რეკვიზიტები: ანგ: №GE48KS0000000004174057, სს „კორ სტანდარტ ბანკი", კოდი 220101945, სკ-404851852) შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", წარმოდგენილი მისი დირექტორის **მამუკა წაქაძის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი" – წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ერთი ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების – „VAZ-21074" სახ. №BUG163-ის დანართი №1-ით განსაზღვრული (TOYOTA AVENSIS 2.0 PetrolAT,2011,SOL. model: ZRT272L-AEXEPW) ერთი ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალებით ჩანაცვლება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: (დანართი N1)-ით განსაზღვრული „TOYOTA AVENSIS 2.0 PetrolAT,2011,SOL. (model: ZRT272L-AEXEPW)" ავტომანქანისა და ჩასანაცვლებელი ერთი ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების – „VAZ-21074" სახ. №BUG163-ის ავტომანქანების ღირებულებებს შორის სხვაობას, 43136,52 (ორმოცდასამი ათას ასოცდათექვსმეტი ლარი და ორმოცდათორმეტი თეთრი).

3.2 (დანართი N1)-ით განსაზღვრული ერთი ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების „TOYOTA AVENSIS 2.0 PetrolAT,2011,SOL. (model: ZRT272L-AEXEPW)" ღირებულება შეადგენს 46536.52 (ორმოცდაექვსი ათას ხუთასოცდათექვსმეტი ლარი და ორმოცდათორმეტი თეთრი).

3.3 ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან 2011 წლის 14 აპრილის №5-006791-2011 წერილით წარმოდგენილი ექსპერტის დასკვნის №005416-2011/10/1 მიხედვით ერთი ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების „VAZ-21074“ სახ. №BUG163-ის საბაზრო ღირებულება შეადგენს 3400 (სამიათას ოთხას) ლარს.

3.4 თუ, ხელშეკრულების 4.2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში 1 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება „VAZ-21074“ სახ. №BUG163-ის ღირებულება გაიზრდება ან შემცირდება, აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალების საბოლოო ღირებულება განისაზღვრება დამოუკიდებელი ექსპერტის ან აუდიტის დასკვნის საფუძველზე, რის შემდეგაც ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულების 8.2 პუნქტის შესაბამისად.

3.5 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც ავტომანქანების ჩანაცვლებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, ისე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.6 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 **მიმწოდებელი** ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ში აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიწოდება ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღის განმავლობაში;

ბ) საქონლის მიწოდება განახორციელოს ქ. თბილისში, გორგასლის ქუჩა №16-ში;

გ) უზრუნველყოს შემსყიდველისათვის მისაწოდებელი ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო რეგისტრაციის პროცედურების ხარჯების ანაზღაურება ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაცემის დღისათვის;

დ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

ე) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 **შემსყიდველი** ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს 1 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება „VAZ-21074“ სახ. №BUG163-ის მიმწოდებელზე გადაცემა „შესყიდული ავტოსატრანსპორტო საშუალებისა და კომპიუტერული ტექნიკის ახალი, იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებითა და კომპიუტერული ტექნიკის ჩანაცვლების მიზნით მათი ღირებულების შეფასების და მიმწოდებლისათვის დაბრუნების ან სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის, რომელიც ახდენს მსგავსი პროდუქციის (საქონლის) რეალიზაციას, გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 24 ნოემბრის №1-1/2688 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, ამ მუხლის 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში, ქ. თბილისში გორგასლის ქ. №16-ში;

ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხარისხი და გარანტია

5.1 მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის მიწოდებული ავტოსატრანპორტო საშუალების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს და დანართი №1-ში აღნიშნულ მაჩვენებლებს.

5.2 დანართი №1-ით განსაზღვრულ 1 ერთეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე „TOYOTA AVENSIS 2.0 PetrolAT,2011,SOL. (model: ZRT272L-AEXEPW)” გარანტია ვრცელდება საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში ან 100 000 კმ-ის გარბენის შემთხვევაში, რომელიც უფრო მალე შესრულდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან. ამასთან, გარანტიის გავრცელების პერიოდში შემსყიდველი ვალდებულია 1 ერთეულ ავტოსატრანსპორტო საშუალება „TOYOTA AVENSIS 2.0 PetrolAT,2011,SOL. (model: ZRT272L-AEXEPW)”-ის მიმდინარე ტექნიკური მომსახურება განახორორციელოს შპს „ტოიტა ცენტრი თბილისი”-ს სერვის ცენტრში. მომსახურების პერიოდულობა განისაზღვრება თავდაპირველად 1000 კმ-ზე და შემდგომ ყოველ 8000 კმ-ზე.

5.3 საგარანტიო პირობები არ ვრცელდება: აკუმულატორზე, საბურავებზე, სხვა მცირედღირებულ აქსესუარებზე.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც საქონლის მიწოდების (ჩანაცვლების) დროს, ისე ამ ხელშეკრულების 5.2 პუნქტით განსაზღვრულ საგარანტიო პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის, ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე **ფრიდონ სტეფნაძე.**

6.3 ამ ხელშეკრულების 5.2 პუნქტით განსაზღვრულ საგარანტიო ვადის განმავლობაში შემსყიდველის (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) მიერ წუნის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებიდან 20 (ოცი) დღის ვადაში მოახდინოს წუნის გამოსწორება, თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება სრულად.

6.4 თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება საგარანტიო ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს საგარანტიო ვადის გასვლამდე.

7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 დანართი №1-ით განსაზღვრული საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7.2 შემსყიდველის მიერ მიმწოდებელზე გადასაცემი 1 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება „VAZ-21074“ სახ. №BUG163-ის გადაცემა წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7.3 შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებას და გადაცემას აწარმოებს: **ჯაბა ხმალაძე,** საჯარო სამართლის იურიდიული პირი საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი.

7.4 მიმწოდებლის მხრიდან საქონლის მიღებას და გადაცემას აწარმოებს: **მამუკა წაქაძე,** შპს „ქარ რენთ ენდ თრეიდ-ინ ქომფანი"-ის დირექტორი.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულებისა და შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის გადასაცემი ავტოსატრანპორტო საშუალების ღირებულების სხვაობით წარმოქმნილი ფასთასხვაობა დანართი №1-ით განსაზღვრული ავტოსატრანსპორტო საშუალების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში. თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუქტის „ა“ და „გ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანართი №1-ით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადების და სახელმწიფო რეგისტრაციის ვადების გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წუნდებული საქონლის ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, გარდა მე-5 და მე-6 მუხლებისა და 10.2 პუნქტისა.

14.2 წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 და მე-6 მუხლები და 10.2 პუნქტი მოქმედებენ 5.2 პუნქტით განსაზღვრული პირობით და ვადით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი – შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საფინანსო-ანალიტიკური სამსახური
მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №16,
ტელეფონი: 26-10-72, 26-10-95.
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222,
სკ-204577813.

მიმწოდებელი

შპს „ქარ რენთ ენდ თრეიდ-ინ ქომფანი"
მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის
ხეივანი, მე-20 კმ,
ტელეფონი: 14-01-01, 871-13-08-08,
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ: №GE48KS0000000004174057,
სს „კორ სტანდარტ ბანკი",
კოდი 220101945,
სკ-404851852
სს „საქართველოს ბანკი" ც/ფილიალის
№112 სერვის ცენტრი
კოდი 220 101 502
ს/ა 26 23 242 00

TOYOTA CENTER TBILISI

Toyota Authorized Dealer in Georgia

ტოიოტა ავენსისი 2.0 ბენზინი, სოლ, 2011
მოდელის კოდი: ZRT272L-AEXEPW
სიმძლავრე 152 ც/ძ, 16 კლაპნიანი
2.0 ლ, 4 ცილინდრი, 6 სიჩქარე, ავტომატური
5 ადგილიანი, 4 კარიანი, საწვავის ავზი 60 ლიტ
ალუმინის დისკები, საბურავი 205/60/R16
სათადარიგო საბურავი
ოპტიტრონული სპიდომეტრი
VSC, სპორტული რეჟიმი
ავტომატური ხელის მუხრუჭი
ელ. საათი, ტაქომეტრი
საჭის ჰიდროგამაძლიერებელი
საჭის ლიფტი
გარე ტემპერატურის მაჩვენებელი
წინა ჰალოგენის ფარები
ფარების ავტ. რეგულირება და გამრეცხი
სალონის შუქის კონტროლის სისტემა
შიდა, უკანა ხედვის დღის/ღამის სარკე
უკანა დამატებითი სამუხრუჭე ფარა
წინა სანისლე ფარები
ინტეგრირებული ანტენა
მულტი საინფორმაციო ეკრანი ნავიგაციით
ბლუთუსი ტელეფონის სისტემა
ნაჭრის სალონი
ჟანგბადის სენსორი, სალონის ჰაერის ფილტრი
საფერფლეები წინა და უკანა სალონში
უსაფრთხოების ღვედები
ტყავის საჭე აუდიოს მართვით
მძღოლის და მგზავრის უსაფრთხოების ბალიშები
გვერდითი და მუხლის უსაფრთხ. ბალიშები
ფარდა ბალიშები წინა და უკანა მგზავრების
მძღოლის სავარძლის სიმაღლის რეგულირება
ABS+EBD+BA
დაუანგვის საწინააღმდეგო ფენა
ავტომატური კლიმატკონტროლი
ელ. ფანჯრები, ცენტრალური საკეტი
რადიო/ CD +MP3+USB /6 ხმის გამაძლიერებელი
იმობილაიზერი
საწვავის სისტემა ევრო4
უკანა კონსოლი და ჭიქის სათავსოები
გარე, უკანა ხედვის სარკეები გათბობით
დისტანციური ცენტრალური საკეტი
ცივი ქვეყნის პაკეტი, უხეში გზის პაკეტი
მანქანის ინსტრუქცია რუსულ ენაზე
ბამპერი მანქანის ფერში

ფასი <u>28 300 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი</u>
გარანტია: 3 წელი ან 100,000 კმ, რომელიც
უფრო მალე შესრულდება

20th km, David Aghmashenebeli Alley, Tbilisi, Georgia Phone: (995 32) 53 19 63; 52 20 22; 54 01 02; 54 01 03 Fax: (995 32) 53 05 31
E-mail: info@toyota-tbilisi.com www.toyota-tbilisi.com